

ჯეოლოგია საქართველოში

კახა ხიმშიაშვილი

ხევსურეთში ბევრი ყოფილა. უმრავლესობა პირიქითა ხევსურეთს მიდის და არცთუ უსაფუძვლოდ, რადგან იქ ეგულებათ ხევსურეთის სავიზიტო ბარათად ქცეული შატლი, მუცო, არდოტი. ამ ბოლო ხანებში პირაქეთა ხევსურეთშიც ბევრმა დაინყო სიარული, აბუდელაურის ტბებზე, ასევე გასაგები მიზეზის გამო – ჭაუხების ძირს მიბჯენილი სამი პატარა ტბა, სამივე სხვადასხვა ფერის – მწვანე, ლურჯი და თეთრი – ბუნებისა და მოგზაურობის მოყვარულმა კაცმა, რა თქმა უნდა, საკუთარი თვალით უნდა ნახოს!

ხევსურეთში არის ისეთი ადგილებიც, სადაც ხალხი ნაკლებად დადის და ნაკლებად იცნობენ, არადა ესეც საოცარი ადგილებია – საოცარი თავისი სილამაზით და საოცარი თავისი ამბებით, ანდრეზებით – როგორც ხევსურები ამბობენ.

ასეთი საოცარი ადგილია გორშელმა, ხევსურეთის არაგვის სათავე, ნაწილი ბუდე ხევსურეთისა. ამ ხეობაში სამანქანო გზა გუდანიდან შედის. გორშელმა რამდენიმე სოფელს აერთიანებს – წინხადუსა და უკანხადუს, ატაბეს, ჩხუბას, ზეისტეჩოს, ბაცალიგოს. სოფლები დაცარიელებულია, ზაფხულში თითო-ოროლა ოჯახი თუ ადის. ზამთარში კი, როგორც ვიცი, მხოლოდ ერთი კაცი რჩება.

კავკასიონის ქედი ხევსურეთს ყოფს ორ ნაწილად: ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარე, ანუ პირიქითა ხევსურეთი და სამხრეთ-დასავლეთის მხარე, ანუ პირაქეთა ხევსურეთი, რომელსაც ბუდე ხევსურეთსაც უწოდებენ. პირიქითა ხევსურეთი მოიცავს მიღმახევის, შატილის და არხოტის ხეობებს, პირაქეთი კი – არაგვის ხეობას.

ანდრაზი – ხევსურულ ზეპირსიტიყვიერებაში სამაგალითოდ შემონახული ამბავი ლაშქრობა-მესისხლეობის, გმირობისა და ლაჩრობის, თემის ან ბჭეების (ანუ მოსამართლეების) გადაწყვეტილებისა და სხვა შემთხვევათა შესახებ, ერთგვარი მორალურ-იურიდიული შეგონება. ამავე მნიშვნელობით იხმარებოდა ხევსურეთში სიტყვა „ანდაზა“, ხოლო სვანეთში – „ჰარაკი“.



შატილი

არხოტის ხეობა შემოსაზღვრულია მაღალი მთებითა და მყინვარწვერებით, რომელთა სიმაღლე 3000-4000 მეტრამდე აღწევს. არხოტის ხეობაში ჩამონადენი წყლები მდინარედ ერთდება, რომელსაც ასევე არაგვს უწოდებენ. არხოტისწყლის სათავე იწყება ცირცვლოვანისა და ჭიმლის წყლებიდან, რომლებიც ჩრდილოეთისაკენ მიედინებიან, ერთვის კოლოთანის წყალი, ტანისის წყალი, ბისნის წყალი, ტერლის წყალი და თათელის წყალი. ახიელ-ამლიდან 25 კმ.-ის მოშორებით ეს მდინარე შედის ქისტეთში და სოფელ ვეუდან, ხევსურულად „გომტიგაურიდან“, არაგვის ნაცვლად მას „ასა“ უწოდებენ. აქვეა არხოტისა და ქისტეთის საზღვარი, რომელსაც საქარის მაღალი ჰქვია. არხოტის ხეობაში მცხოვრებ პირიქითა ხევსურებს „არხოტიონებს“ უწოდებენ. არხოტის დასახლებებია: ახიელი, აშლა და ჭიმლა (გაუკაცრიელდა).



ჭაუხვაი გამთენიისას



არხოტი

გუდანიდან სულ რამდენიმე კილომეტრში ჯერ სოფელ ჩხუბას გაივლით, შემდეგ მიადგებით ბაცალიგოს, სწორედ იმ ბაცალიგოს, სადაც თინიბექა ცხოვრობდა და რომლის კოშკის საძირკველსაც ახლაც ნახავთ. გახსოვთ ალბათ:

„ზენ ბაცალიგოს თოვლსა თოვს,
ქვენ ბაცალიგოს შრებისა,
თინიბექაურთ ციხესა
კუთხე მარჯვენა სკდებისა.
ზედა ზის შავი ყორანი,
ლიბოში გველი ძვრებისა,
შიგა წევს თინიბექაი,
გულსუნადინოდ კვდებისა,
გვერდს უზის ცოლი ლამაზი,
სანთელივითა დნებისა“.

მერე შემოგხვდებათ სოფელი ატაბე, გზად კი დაინახავთ მოპირდაპირე ფერდზე გადაფენილ წინხადუს. გორშელმის ხეობიდან შეიძლება გადასვლა არხოტის თემში, ტანისე ტბასთან, ხოლო ანატორის ლელეს გავლით – სოფელ გუროთში პირიქითა ხევსურეთში, გიორგინმინდასთან, ასევე ბილიკი მდის სოფელ რომკაშიც.

გორშელმის ხეობას მედიდურად დაჰყურებს ცროლის მთა. ეს ის მთაა, რომელიც ქართლის ცხოვრების მიხედვით, ალექსანდრე მაკედონელმა ქართლის მმართველად თავისივე დაყენებულ აზოს ქართლის სამეფოს ჩრდილოეთის საზღვრად დაუდო.

საქართველო

ცროლის მთა ერთ-ერთი ყველაზე მისტიკური ადგილია ხევსურეთში. ხევსურებს სჯერათ, რომ ცროლის მთა იყო დედამიწის შუა სამანი (ანუ ნიშნის ქვა). ცროლის მთაზე იყო სანების (ანუ სამების) მთავარი სალოცავი, რომელსაც მისი ყმანი (ანუ მლოცველნი) ასე მიმართავდნენ: „მფრინაო ანგელოზო, ბატონო სანებავ ცროლისწვერისაო“. მიუხედავად იმისა, რომ ანდრეზების მიხედვით, ცროლის სანება მის ყმებს ცროლის მთის წვერზე ეგულეობდათ, ხევსურნი მხოლოდ გარკვეულ ადგილამდე ადიოდნენ ცროლის მთაზე და იქ სწირავდნენ შეთქმულ საკლავს. უპირატესობა საკლავით ასულთა შორის ენიჭებოდა წულთ-მახვენურთ, ანუ მათ, ვინც ვაჟიშვილის შექმნას სთხოვდა სანებას. საკლავის შეწირვის წინ ხუცესი გაიკითხავდა, ვინ იყო წულთ-მახვენური, პირველ რიგში, მათ საკლავს სწირავდა და მხოლოდ მერე – დანარჩენებისა.

ხევსურეთში ხუცესი არის ხატის/ჯვარის მთავარი მსახური. როგორც ჩანს, თავის დროზე, ხუცესი (იგივე ხევისბერი) მთაში უნდა ყოფილიყო ხევის მოთავე, წინამძღოლი, როგორც საერო, ისე რელიგიურ-საკულტო საქმეში, მაგრამ შემდეგ მისი ფუნქციები დავინროვდა და იგი ჯვარის მთავარ მღვდელმსახურად იქცა. ხუცობა ხატის არჩევანზე დამოკიდებული და მემკვიდრეობით არ გადადის, თუმცა თუ ხატი აირჩევს, ხუცესის შვილსაც შეუძლია ხუცობის მიღება. ერთხელ არჩეული ხუცესი ხუცესად ბერდება. საქართველოს მთიანეთის დიდი მკვლევრის, ეთნოგრაფ ვერა ბარდაველიძის მიხედვით, „ხუცესი (ხევისბერი) თემის სასულიერო და საერო ცხოვრებას ხელმძღვანელობდა. იგი, როგორც მთავარი ქურუმი, ყველა სატაძრო რიტუალსა და მსხვერპლშენიერვის წესებს ასრულებდა. განაგებდა სათემო ჯვარის ქონებას, კერძოდ, ჯვარის მიწებსა და საქონელს“.



გორჯაღის ხედი ცროლის მთიდან უკან ჭაუსში

მიჯნა, რომლის იქითაც ხევსურები აღარ შედიოდნენ, დაახლოებით იმ ადგილიდან იწყება, სადაც ბალახი მთავრდება, რომლის ზემოთაც ნაშალია, თითქმის ქვიშად ქცეული სიპი. ასეთ ტაბუირებულ ადგილს, სადაც ადამიანის შესვლა არ შეიძლებოდა, ხევსურები კვრივს უწოდებენ. ცროლის მთის წვერიც კვრივია.

აი, რას წერს და როგორ აღწერს კვრივის არსს საქართველოს მთიანეთისა და მისი მითების უბადლო მცოდნე ზურაბ კიკნაძე თავის წიგნში „ჯვარი და საყმო“:



„მინა-წყალი, სადაც საყმო სახლობს, წმიდა ადგილია, რადგანაც ის ჯვარის მიერ არის მოპოვებული და ამ მოპოვების ძალით გამოკვეთილია დანარჩენი სამყაროსაგან. ის წმიდაა ერთიანად, მაგრამ საყმო მასში განიცდის და აღიარებს ისეთ ადგილებს, რომლებიც განსაკუთრებული სინმიდით არიან მოსილი. ამ ადგილებს საყმო კვრივს უწოდებს. რა თვისების რეალობას აღნიშნავს კვრივი, ანუ, სამწერლო ენით – მკვრივი... ეს სიტყვა საყმოს საკრალურ ლექსიკონში ნიშნავს როგორც ფიზიკურ შეუღწევადობას, ასევე ზნეობრივ შეუვალობას, რომლის სიმბოლოდ ჯვართა ტერიტორიაზე დგას მკვრივად ნაგები კოშკები, სადაც შესვლა უბრალოდ შეუძლებელია იმის გამო, რომ მათ არ გააჩნიათ შიდა სივრცე. ასეთ კოშკებს ეწოდებათ კვრივები... ფიზიკური შეუღწევადობა ზნეობრივი აკრძალვის მეტაფორაა. თუმცა, ასეთი ტერიტორია – ნაკრძალი – არ არის შემოზღუდული რაიმე ხილული საზღვრით, მაგრამ მას საყმოს ცოცხალ განცდაში აქვს უხილავი საზღვარი, რომლის შიგნით სრულიად განსხვავებული რეალობა განიცდება. „კვრივი“, როგორც „ფუტუროს“ სანინაალმდეგო მოვლენა, მრთელია, მთლიანია. ეს არის ქეშმარიტი სინამდვილე. კვრივი ადგილია, სადაც პირველად ხატი მოსულა, იქ მერე თასს უდგამენ და ზედ ხატი დაჯდებოდა. კვრივს ვეძახით ადგილს, სადაც არ შეიძლება ადამიანის შესვლა, გინ კოშკი იყოს, გინ სხვა ადგილი“.

ცროლის მთის კვრივში შემთხვევით მოხვედრილი მონადირე თავს მოვალედ თვლიდა, ყოველ წელს საკლავი შეეწირა და პატიება ეთხოვა, რომ კვრივში ავიდა. სწორედ ერთ-ერთი ასეთი მონადირე ყვებოდა, რომ ცროლის მთაზე რაღაც ნაგებობის ნაშთები ჰქონდა ნანახი. არადა, ანდრეზის მიხედვით, მთის წვერზე სწორედ კვრივში იყო დარბაზი (დარბასი) და საქვაბე. ანდრეზი იმასაც ამბობს, რომ ამ უტყეო ადგილას საკლავი ქვაბში უცეცხლოდ იხარშებოდა და ზამთარში ასულ ხალხს არ სციოდა.



პროფესორი ზურაბ კიკნაძე ცროლის მთაზე ექსპედიციისას

ანდრეზში ნახსენები დარბაზის ნაშთების სა-
ნახავედ 2013 წელს მცირე ექსპედიცია მოეწყო.
ცხადია, ექსპედიციის წევრებს მოგვიწევდა
ცროლის მთის წვერამდე ასვლა. ცროლის მთაზე
ასვლის ნებართვა ხუცესისაგან ავიღეთ და შე-
ვუყვეით აღმართს. თავიდან საკმაოდ კარგად
გატკეპნილი ბილიკი აღის. სადღაც მთის შუა-
წელზე ნიშია გამართული. შემდეგ მივადექით
მიჯნას, რომლის იქითაც კვრივი იწყება და, შესა-
ბამისად, ბილიკიც დაიკარგა. მივალნიეთ თხემს,
სადაც, წესით, უნდა ყოფილიყო ანდრეზებში
ნახსენები ნაგებობათა ნაშთები, თუმცა, სამწუ-
ხაროდ, არაფერი აღმოჩნდა.

აი, ხედები კი გასაოცარი იყო. შორს ვხედავ-
დით ჟინვალის წყალსაცავს, სხვა მხარეს – ჭაუ-
ხებს. განსაკუთრებულ სიბზლს იქაურობას იმის
შეგრძნებაც მატებდა, რომ ისეთ ადგილას ვართ,
სადაც ადამიანს კარგა ხანია ფეხი არ დაუდგამს.

კიდევ ერთი ბუნების საოცრების მოწმე გავ-
ხდით ცროლის მთაზე: წვერზე რომ ავედით,
არემარე თხელი ნისლით იყო დაფარული. ნისლი
ჩვენს ქვემოთ სქელდებოდა და თეთრ, თითქოს
მკვირვ მასად ჩანდა. მზე ჩვენს ზურგს უკან იყო.
ასეთ პირობებში კი იშვიათი ოპტიკური ეფექტის
მოწმენი გავხდით – ჩვენს ქვემოთ, სქელ თეთრ
ნისლზე, გამოისახა წრიული ცისარტყელა, რომ-

ნიში, უკან ჩანს ცროლის მთის წვერი



ცროლის მთის მწვერვალი





წრიული ცისარტყელა

ლის ცენტრშიც ჩვენი ჩრდილები ჩანდა. ასეთი საოცრების ნახვის შემდეგ გადაწყვიტეთ, რომ ეს ნიშანი იყო, ნიშანი იმისა, რომ გვეპატია კვრივში შესვლა.

ბოლოს მინდა განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო ჩვენს მასპინძელს გორშელმაში, ატაბელ ხუცესს პეტრე გოგოჭურს.

და კიდევ, თუ გადაწყვეტთ ცროლის მთიკენ წასვლას, პატივი ეცით ხევისურთა რწმენა-ტრადიციებს და კვრივში არ ახვიდეთ.

p.s. 2017 წლის ზაფხულში მეგობარმა გამომიგზავნა ფოტოები, ცროლის მთის მიდამოებში გადაღებული, რომლებზეც რალაც ძალიან დანგრეული ნაგებობის ნაშთებია. ალბათ, ისევ მოგვინევს ცროლზე ასვლა და ამ ნაშთების ნახვა, გარკვევა, თუ რას უნდა წარმოადგენდეს ისინი.



სტატიის გამომყენებელი ყველა ფოტო აკუთვნის კასა სიმონიშვილს.

საზაფხულო სკოლა



პროექტ „ჩემი სამყაროს“ 2018 წლის ვიქტორინის გამარჯვებულების დიდ ნაწილს განსაკუთრებული ჯილდო ერგოთ – საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიასთან თანამშრომლობით აკადემიის ბაზაზე, გორში, რონდელის ფონდმა მოაწყო ერთკვირიანი საზაფხულო ბანაკი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 30-მა უფროსკლასელმა წეროვანის, აფხაზეთის, ხულოს მუნიციპალიტეტის სოფლებისა და ჩოხა-

ტაურის მუნიციპალიტეტის სოფ. ზოტიდან. მოსწავლეებს ამ ერთი კვირის მანძილზე საკმაოდ უჩვეულო ცხოვრება ჰქონდათ: თავდაცვის აკადემიის სტუდენტების მსგავსად ცხოვრობდნენ ყაზარმებში, იცავდნენ სამხედრო რეჟიმს, ეცნობოდნენ სამხედრო საქმეს და თან ისმენდნენ ლექციებს სხვადასხვა საინტერესო თემაზე, მონაწილეობდნენ დისკუსიებში, დაკავებული იყვნენ სპორტითა და მრავალნაირი შედეგებითი გასართობით.

